



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 19 ივნისი

**დისციპლინური საქმე N°6/20-2
მოსამართლე --- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 20 იანვრის N°6 და 2020 წლის 20 თებერვლის N°17 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 იანვრისა N°501/6-03 და 28 თებერვლის N°161/17-03 წერილებით მოსამართლე --- -- ეცნობა N°6 და N°17 საჩივრების შემოსვლისა და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქმის მასალები გამოთხოვილ იქნა 2020 წლის 30 იანვარსა და 28 თებერვალს. საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა 2020 წლის 16 მარტს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 20 მარტის გადაწყვეტილებით --- -- 2020 წლის 20 იანვრის N°6 და 2020 წლის 20 თებერვლის N°17 საჩივრები გაერთიანდა ერთ წარმოებად. დისციპლინურ საქმეს მიენიჭა ნომერი 6/20.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე --- -- მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. გაიზიარა პირველი ინსტანციის მსჯელობა და უკანონოდ უთხრა უარი მხარეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ პროცესზე განაცხადა „რა კარგი ადვოკატივით საუბრობ, რა კარგი ადვოკატი გამოვიდოდა შენგან“-ო, რაც იმ პირობებში, როდესაც მისი სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, მხარის აზრით დამამცირებელი გამონათქვამი იყო.

1.3. მოსამართლემ გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში არ გაუგზავნა მხარეს.

2. საჩივრების საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 07 თებერვალს --- --- სასამართლოს --- --- სარჩელით მიმართა --- --- და მოითხოვა --- --- 2017 წლის 11 იანვრის N°-- ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

--- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა --- 2019 წლის 10 ივნისს.

--- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე --- 2019 წლის 18 ივნისის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

--- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე --- 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა --- საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

საქმის მასალებით დასტურდება, რომ --- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა --- სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება.

მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, შინაგანი რწმენის საფუძველზე, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს --- --- საჩივრების საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- --- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს №6/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- --- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი